ჩემპიონატი

ორი “დინამოს” შეხვედრა ლენინგრადში

ლენინგრადი (ჩვენი სპეც. კორ.). მატჩი ხასიათდება მეტად მწვავე ბრძოლებით. პირველ ათ წუთში ლენინგრადელები შეტევაზე არიან, ხოლო თბილისელები – უმთავრესად თავდაცვაში. მთელ რიგ საშიშ მომენტს იგერიებს მეკარე ტყეზუჩავა, რომელიც ამ დღეს შესანიშნავად იცავდა კარს.

მალე მდგომარეობა იცვლება. თბილისელი თავდამსხმელები “მასპინძელთა” საჯარიმო მოედანზე თამაშობენ. თავდამსხმელმა პაიჭაძემ მიიღო ბურთი და გვერდით ხაზზე სწრაფად გაიტაცა, ხოლო შემდეგ ცენტრში მყოფ ბერეჟნოის გადასცა. ამ უკანასკნელის მოხერხებული დარტყმა და პირველი გოლიც!

1:0 – თბილისელთა სასარგებლოდ. ასეთი ანგარიშით დასრულდა თამაშის პირველი ტაიმი.

შესვენების შემდეგ, დაწყებისთანავე თბილისელები ავითარებენ შეტევას. განსაკუთრებით კარგად თამაშობენ პაიჭაძე და ჯეჯელავა, მე–17 წუთზე მსაჯი სრულიად უმართებულოდ აძევებს მოედნიდან მარცხენა გარემარბს – პანიუკოვს. ახლა უკვე ინიციატივა თანდათანობით ლენინგრადელების ხელში გადადის. თბილისელთა დამცველები, კერძოდ შავგულიძე და ფროლოვი, არ აძლევენ ანგარიშის გათანაბრების საშუალებას. მხოლოდ 30-ე წუთზე გააქვთ ლენინგრადელებს საპასუხო ბურთი.

შედეგი აღარ შეცვლილა. თამაშს დაესწრო 23 ათასი მაყურებელი.

მატჩს სუსტად სჯიდა სტრეპიხეევი.

გოლდშტეინი, თბილისის ”დინამოს” გუნდის უფროსი.
„ახალგაზრდა კომუნისტი“, 28 ივლისი, 1940 წ.